პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი
# БОЕВОЙ СТРАЖ

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

Газета выходит с 1926 года.
გაზეთი გამოდის 1926 წლიდან

№ 26 (2069) კვირა, 30 ივნისი, 1985 წელი. ფასი 2 კაპ.

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მორიგი სხდომა.

განიხილეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. გ. ა. ანჩაბაძის ინფორმაცია სახელმწიფო ტრანსპორტზე წესრიგის დამყარებისათვის მიმდინარე მუშაობის შესახებ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოსთხოვა ტრანსპორტზე დისციპლინის განმტკიცების სამუშაო ჯგუფს ყოველმხრივ აამაღლოს პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების პასუხისმგებლობა დარგში სახელმწიფო წესრიგის დარღვევისათვის, კონტროლის განხორციელების წესით განიხილეს, თუ როგორ ასრულებენ ქარელის რაიონის ადმინისტრაციული ორგანოები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „რესპუბლიკაში სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მდგომარეობისა და ღონისძიებების შესახებ". აღინიშნა, რომ პარტიის რაიკომი არ ეწევა უკომპრომისო ბრძოლას ყოველგვარი ნეგატიური მოვლენის წინააღმდეგ, დაბალია სამართალდაცვითი ორგანოების მუშაობის დონე, რის შედეგადაც რაიონში საკმარისი სიმტკიცით არ აღმოიფხვრება სპეკულაციის, მუქთახორობის, სოციალისტური კანონიერების სხვა დარღვევების ფაქტები. პარტიის რაიკომს, რაიაღმასკომს, პირველად პარტორგანიზაციებს წინადადება მიეცათ უფრო მწვავე რეაგირება მოახდინონ სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმებისა და წესებისაგან ყველა გადახრის გამო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და სამდივნოს სხდომებზე განიხილეს აგრეთვე რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ზოგიერთი სხვა საკითხი.

## НАВСТРЕЧУ XXVII СЪЕЗДУ КПСС

День ото дня все шире развертывается подготовка к очередному XXVII съезду КПСС. В эти дни повсеместно проходят пленумы партийных комитетов, собрания коммунистов, посвященные итогам апрельского (1985 г.) Пленума ЦК КПСС, глубокое изучение его документов.

Коммунисты, весь личный состав органов внутренних дел Грузии, как и все советские люди, с воодушевлением восприняли решения Пленума ЦК КПСС, доклад на нем Генерального секретаря Центрального Комитета товарища М. С. Горбачева. Они единодушно одобряют внутреннюю и внешнюю политику ленинской партии, заявляют о своей твердой решимости достойно встретить партийный съезд.

Пленум ЦК КПСС четко определил ключевые проблемы, на которых должно быть сосредоточено внимание партии и народа. Это интенсификация всех отраслей народного хозяйства, ускорение научно-технического прогресса, достижение высшего мирового уровня производительности труда, укрепление организованности, порядка и дисциплины, устранение всего, что мешает нашему движению вперед.

Пути решения этих проблем четко и полно очерчены в докладе товарища М. С. Горбачева «Коренной вопрос экономической политики партии», с которым он выступил на совещании в ЦК КПСС по вопросам ускорения научно-технического прогресса.

Первоочередная задача, которую поставил ЦК КПСС, — наверстать упущенное, обеспечить безусловное выполнение плановых заданий текущего года и пятилетки в целом.

В решение текущих и перспективных задач призваны внести свой вклад работники органов внутренних дел республики. Долг солдат правопорядка — всемерно укреплять общественный порядок, социалистическую законность, вести самую решительную борьбу со всеми негативными явлениями, чуждыми социалистическому образу жизни, нашей морали. В частности, большая ответственность возложена на милицию и другие правоохранительные органы по осуществлению намеченного ЦК КПСС, Советом Министров СССР и Президиумом Верховного Совета СССР комплекса мер по преодолению пьянства и алкоголизма.

Сейчас важно довести до сознания всех сотрудников смысл, масштабность и сложность задач, поставленных перед органами внутренних дел, меру личной ответственности каждого работника за их выполнение. Об этом должны позаботиться руководители, политотделы, заместители начальников по политчасти, партийные и комсомольские организации. Только от добросовестного творческого отношения каждого сотрудника к исполнению служебного долга зависит результативность общих усилий.

Решить сложные задачи современного этапа, подчеркивалось на Пленуме ЦК КПСС, можно только опираясь на живое творчество народа, на его разум, талант и труд. Руководители, политработники, партийные организации органов внутренних дел призваны постоянно развивать инициативу и энергию часовых правопорядка, активно поддерживать все полезные начинания, повышать авангардную роль коммунистов в предсъездовском социалистическом соревновании. На развитие трудовой и социальной активности личного состава должна быть направлена организаторская, идеологическая, массово-политическая работа.

Ответственным этапом в жизни парторганизаций, предшествующим XXVII съезду КПСС, явится отчетно-выборная кампания. Как определено апрельским Пленумом ЦК КПСС, отчетно-выборные собрания в первичных партийных организациях состоятся в сентябре-ноябре. Они будут способствовать дальнейшему упрочению ленинских норм партийной жизни, развитию внутрипартийной демократии, критики сверху и снизу, росту активности и инициативы коммунистов, повышению их ответственности за дела своих организаций и партии в целом.

Подготовка к партийному съезду вызвала новый подъем политической и служебной активности коммунистов, всех сотрудников органов внутренних дел. С каждым днем все больший размах приобретает социалистическое соревнование под девизом «XXVII съезду КПСС — достойную встречу!».

Долг руководителей, политработников, партийных организаций — направить усилия участников соревнования на образцовое выполнение задач, поставленных перед правоохранительными органами.

## შინაგან საქმეთა სამინისტროს პარტიული აქტივის კრება

გაიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პარტიული აქტივის კრება.

კრებაზე მოხსენებით გამოვიდა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი, შ/ს გენერალ-ლეიტენანტი გ. ი. გვეტაძე.

პარტიული აქტივის კრებაზე აღინიშნა, რომ საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობით მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში რესპუბლიკაში აღინიშნება დამნაშავე-



ობის წინააღმდეგ ბრძოლის სტაბილიზაციის გარკვეული ტენდენციები. შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიის, პოლიტიკური განყოფილების, პარტიული კომიტეტის, პირველადი პარტორგანიზაციების საქმიანობა მიმართული იყო ოპერატიულ-სამსახურებრივი მუშაობის შემდგომი სრულყოფისათვის, სახელმწიფო, შრომითი, საზოგადოებრივი და პარტიული დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის, სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის ძირეული გაუმჯობესებისათვის.

პარტიული აქტივის კრებამ აღნიშნა, რომ სულ უფრო სრულყოფილი ხდება სამინისტროს აპარატისა და მისი ადგილობრივი ორგანოების მუშაობის სტილი, იზრდება და მტკიცდება მილიციის მუშაკთა კავშირი მასებთან. შინაგან საქმეთა ორგანოების ხელმძღვანელები უფრო ხშირად არიან შრომით კოლექტივებში და ორგანიზაციებში, იხილავენ მოქალაქეთა განცხადებებსა და საჩივრებს. გაუმჯობესდა სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების ანალიზი, უფრო პრინციპული გახდა მათი დაგვიანებით და უხარისხოდ გადაწყვეტის ფაქტებზე რეაგირება. ამ მუშაობის მდგომარეობა განიხილება კოლეგიისა და პარტიული კომიტეტის სხდომებზე, პარტიულ კრებებსა და ოპერატიულ თათბირებზე.

დიდი ყურადღება ექცევა კადრების შერჩევისა და განაწილების საქმეს, თანამშრომელთა იდეურ-პოლიტიკურ აღზრდას.

პარტიული აქტივის კრებაზე აღინიშნა, რომ მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა შინაგან საქმეთა ორგანოებში ჯერ კიდევ გადასაწყვეტია არაერთი პრობლემა, ცენტრალური აპარატის სამსახურები არასაკმარის გავლენას ახდენენ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ზოგიერთ მიმართულებაზე. მწვავედ დგას დანაშაულის გახსნის პრობლემა. აღინიშნა, რომ სოც. საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს ხელმძღვანელობა და პარტიული ორგანიზაცია, სამმართველოს კომუნისტები სუსტად უწევენ კონტროლს დაქვემდებარებულ აპარატებს. არასაკმარისია სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს მუშაობა ბინის ქურდობათა პროფილაქტიკაში, არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა შეიქმნა სახანძრო დაცვის საქმეში. მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში, გასული წლის ამ დროსთან შედარებით გაიზარდა ხანძრების რაოდენობა. მიუხედავად იმისა, რომ გაუმჯობესდა საგამომძიებლო აპარატების მუშაობის მაჩვენებლები, ჯერ კიდევ არასაკმარისია საგამომძიებლო სამმართველოს კომუნისტების მიერ, ადგილებზე მდგომარეობის შესწავლისათვის გაწეული კონტროლი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ზოგიერთ სამსახურში ნელი ტემპით მიმდინარეობს ამ ორგანოებისათვის კანდიდატების შერჩევა.

პარტიული აქტივის კრებამ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით მიიღო შესაბამისი დადგენილება.



სურათზე: პარტიული აქტივის კრებაზე მოხსენებით გამოდის გ. ი. გვეტაძე; კრების პრეზიდიუმში.

ტ. ტარიელაშვილის ფოტო.

## «Победитель соцсоревнования»

Победителем социалистического соревнования за досрочное выполнение народнохозяйственного плана среди коллективов учреждений УИТУ МВД Грузинской ССР признан коллектив учреждения, где начальником Р. Аласания и секретарем партийной организации З. Эбралидзе.

Подразделением объем реализации продукции в первом квартале 1985 года выполнен на 100%, план производства товаров культурно-бытового и хозяйственного назначения на 120%, прибыль составляет 101,5%. Имеется с начала пятилетки опережение темпа роста производительности труда над темпом роста средней заработной платы.

Президиум Грузинского Республиканского комитета профсоюза работников госучреждений и коллегия МВД Грузинской ССР присудило коллективу учреждения Переходящее Красное Знамя МВД ГССР и РК профсоюза работников госучреждений и наградило денежной премией.

# დამნაშავეობას — უფრო ეფექტური ბრძოლა

**ამას წინათ** გამართულმა საქართველოს პარტიული აქტივის კრებამ, დაწვრილებით გააანალიზა რესპუბლიკაში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობა განსაზღვრა მუშაობის მთავარი მიმართულებანი.

კრებამ ცხადია, მეტად დიდი ამოცანები დაუსახა შინაგან საქმეთა ორგანოებს ჩვენი ცხოვრების ყველა ჯურის დამნაშავის დაუნდობლად მხილების, ყველა უმსგავსოების სააშკარაოზე გამოტანისა და მტკიცე საზოგადოებრივი წესრიგის დამყარების საქმეში.

გარკვეული წარმატებები აქვს მოპოვებული გალის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებას, რაც გამოიხატა იმაში, რომ მიღწეულია მკვლელობის მცდელობის, ყაჩაღობის, მძიმე დაზიანების მიყენების, სახელმწიფო ქონების დატაცების ფაქტების შემცირება. შრომით კოლექტივებში განვახორციელეთ ქმედითი ღონისძიებები მუქთახორობის აღმოსაფხვრელად.

სამართალდარღვევათა ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს ლოთობა. რომლის აღსაკვეთად მრავალი ღონისძიება ტარდება, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სავაჭრო ორგანიზაციებს და საზკვების ობიექტებში სპირტიანი სასმელებით ვაჭრობის მოწესრიგებას. ბევრგან სპირტიანი სასმელებით ვაჭრობის უხეში დარღვევების ფაქტები მაინც გვხვდება.

სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში. ერთ-ერთი მტკივნეული პრობლემაა იმ ადამიანებთან მუშაობა, რომლებმაც რამდენჯერმე მოიხადეს სასჯელი და ისევ სჩადიან ახალ დანაშაულს. შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებაში ასეთ პირებთან ტარდება კომპლექსური ღონისძიებანი მათი სწორ გზაზე დაყენების მიზნით. ეს მუშაობა უმრავლესობის მიმართ სასურველ შედეგს აღწევს, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებსაც კვლავ მოლიპული გზით სიარული ურჩევნიათ. მაგალითად, მრავალჯერ ნასამართლევი ი. ბენია უბნის ინსპექტორმა პროფილაქტიკურ აღრიცხვაზე აიყვანა და სამუშაოზეც მოაწყო. ი. ბენიამ კი ბოროტი ხულიგნობა ჩაიდინა და კვლავ დამნაშავის სკამზე მოხვდა. ამიტომ ამ მხრივ მეტი მუშაობა გვმართებს.

მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა არასრულწლოვანთა დანაშაულობებს, მაგრამ ამ კატეგორიის დანაშაულობათა რიცხვი ჯერ კიდევ ბევრია. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ განყოფილების არასრულწლოვანთა ინსპექციის მუშაკებს არა აქვთ მუშაობის ელემენტარული პირობები.

რაიონში გასულ წელს და მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა მძიმე სახის დანაშაულობათა რიცხვი, მაგრამ მომავალი წარმატებებისათვის საჭიროა უფრო ეფექტიანი ბრძოლა. გვჯერა, რომ შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკები საზოგადოების მხარდაჭერით, უფრო გაბედული მუშაობით თავს გაართმევენ დასახულ ამოცანებს.

**ვ. ბიბლაია,**
**გალის შს რაიგანყოფილების უფროსი, მილიციის კაპიტანი.**

# რესპუბლიკური პრესის ფურცლებზე

**ამ ბოლო დროს რესპუბლიკურ პრესაში ქვეყნდება მასალები სადაც ჩვენდა სამწუხაროდ, სამართლიანად აკრიტიკებენ შინაგან საქმეთა ორგანოების ზოგიერთ სამსახურსა და თანამშრომლებს. გაგაცნობთ ერთ წერილსა და რამდენიმე ფაქტს, რომელიც გაზეთ „კომუნისტში" დაიბეჭდა.**

**რესპუბლიკაში** მიმდინარეობს მძღოლების ხელახალი ატესტაცია. იგი მოსახლეობას შორის ერთმნიშვნელოვან რეაქციას როდი იწვევს. მძღოლები უკმაყოფილებას გამოხატავენ. სამაგიეროდ ქვეითები, რომლებიც, როგორც ცნობილია, უმრავლესობას შეადგენენ, ხელახალ ატესტაციას დიდი ხანია მომწიფებულ საჭიროებად მიიჩნევენ. თავიანთი აზრის დასადასტურებლად მათ მოჰყავთ მნიშვნელოვანი საბუთები — ჩვენი ქალაქების ქუჩები ჯერ კიდევ საშიშია ქვეითებისათვის.

მაგრამ ვერ უგულებელყოფენ მძღოლთა პრეტენზიებსაც. კერძოდ, ისინი სამართლიანად აღნიშნავენ, რომ საბუთების შეგროვებისათვის საჭიროა, როგორც წესი, ერთი კვირა. ყოველივე ეს კეთდება სამუშაო დროს, ამასთან მძღოლებს ხშირად უხდებათ მრავალი ბიუროკრატიული ბარიერის დაძლევა. რა თქმა, უნდა ეს უწესრიგობაა, და სახელმწიფო ავტოინსპექციამ უნდა მოიფიქროს, თუ როგორ გაამარტივოს ეს პროცედურა.

მძღოლთა შორის გამოკითხვამ გვიჩვენა, რომ სერიოზული ხარვეზებია სახელმწიფო ავტოინსპექციის თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სარეგისტრაციო-საგამოცდო განყოფილების მუშაობაში. მისი მუშაობის გრაფიკი მოუხერხებელია მოსახლეობისათვის. არ არის აქ საინფორმაციო სამსახური. სარეგისტრაციო-საგამოცდო განყოფილების ზოგიერთი თანამშრომელი მძღოლების მიმართ უხეშობას, უპატივცემლობას იჩენს. ვიწრო შენობაში ყოველთვის ორომტრიალია. საბუთების გასაცემ სარკმელთან გრძელი რიგები დგას.

მძღოლები გაოცებული არიან, რატომ არის მილიონიან თბილისში მხოლოდ ერთი საერთო-საქალაქო განყოფილება. დიდ ქალაქებში ისინი ყოველ რაიონშია შექმნილი...

• • •

...წითელსოფლელი ტ. იზმერიანი მარნეულის შინაგან საქმეთა განყოფილების არასაუწყებო დაცვის მუშაკია. წესი და რიგი უპირველესად მილიციის თანამშრომლებმა უნდა დაიცვან. მას კი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ 300 კგ. პამიდორის გატანა სურდა... წითელსოფლელ უმუშევარს რ. მეხაკიანს საკუთარი „ჟიგული" ჰყავს. როგორც ავტოინსპექციის თანამშრომლებმა გვითხრეს იგი გამოუსწორებელი სპეკულანტია. რ. მეხაკიანი არ ეწევა საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას. მაგრამ საკითხავია რატომ ხუჭავს თვალს ამაზე უბნის ინსპექტორი.

**„მებრძოლი გუშაგის" რედაქცია იმედს გამოთქვამს, რომ ეს ფაქტები სერიოზული მსჯელობის საგანი გახდება აღნიშნულ სამსახურებში, მიღებული ზომების შესახებ კი რედაქციას შეატყობინებენ.**

# ВО ХМЕЛЮ

«Если бы не та злополучная рюмка...» Эта фраза, или подобная ей, всегда приходит на ум тем, кто поутру мучительно начинает вспоминать свои чудачества, совершенные накануне. А как часто случается, от подобных чудачеств во хмелю до преступления всего один шаг. И тогда фраза эта буквально не слетает с уст, совершивших преступление. Понять их можно: ведь жизнь этих людей как бы разделилась на два периода — до рюмки и после.

Да, понять их можно, но простить, оправдать — нет. Закон для всех одинаков.

Наверняка, проклинает тот день, 13 мая, старший лейтенант милиции Цаленджихского РОВД Г. Каландия. Именно в этот день он в нетрезвом состоянии сел за руль своей автомашины. Результат не заставил себя ждать. Машина разбилась вдребезги, да и сам водитель оказался не в лучшем состоянии. Но можно сказать, ему повезло. Могло быть гораздо хуже.

Еще больше повезло милиционеру Первомайского РОВД г. Тбилиси Г. Куртанидзе, милиционеру Орджоникидзевского РОВД г. Тбилиси А. Марцвалишвили и милиционеру Телавского РОВД Л. Гогонашвили. Все трое были задержаны, возможно к лучшему, во время рейда и мало того, что были в нетрезвом состоянии, к тому же еще управляли автомашинами, принадлежащими другим лицам.

Ничем хорошим не закончилась и попойка, которую организовали в ресторане вместе с четырьмя гражданами, госавтоинспектор Лентехского РОВД старший лейтенант милиции М. Бенделиани и инспектор по делам несовершеннолетних лейтенант милиции З. Мешвелиани. Злоупотребляя своим служебным положением, они не оплатили полностью стоимость заказа. После ресторана «друзья» решили продолжить свое пиршество, но уже на природе. Возвращались домой навеселе, но, как это часто бывает в хмельных кампаниях, чего-то не поделили, затеяли ссору. В результате, один из граждан был ранен.

Вот так печально завершилась в основе своей прекрасная традиция: провести вечер в кругу близких тебе людей. А завершилась она так все из-за той злополучной рюмки.

За дискредитацию звания сотрудника милиции, злоупотребления спиртными напитками и служебным положением Г. Каландия, М. Чкареули, Г. Куртанидзе, А. Марцвалашвили, Л. Гогонашвили, М. Бенделиани уволены из органов внтренних дел. Лейтенант милиции З. Мешвелиани отстранен от занимаемой должности до окончания следствия. В отношении М. Чкареули возбуждено уголовное дело.

Но на этом ставить точку рано. Виновные хмельных похождений наказаны. И итог этот вполне закономерный. Однако, всего того, что произошло, могло бы и не случиться, если бы в коллективе, где работали эти «герои», сложилась нетерпимая обстановка вокруг лиц, нарушающих дисциплину и порядок. Подобные отклонения становятся возможны только в тех подразделениях, где существует круговая порука, где не осуществляется контроль за деятельностью сотрудников вне службы.

Существует расхожее мнение, что, мол, после работы каждый волен делать все, что ему захочется. Да, это так. Но делать все надо в рамках тех моральных принципов и этических норм, которые существуют в нашем обществе. А пьянство — это изжиток прошлого и его необходимо навсегда искоренить из нашей жизни.

**В. МИРОШНИЧЕНКО.**

ЗА БЕЗОПАСНОСТЬ ДВИЖЕНИЯ

# ДЕЛО ВСЕЙ ОБЩЕСТВЕННОСТИ

Вопросы организации дорожного движения находятся в центре внимания партийных и советских органов автономной республики. Они неоднократно рассматривались на заседаниях бюро областного комитета партии, партийной комиссии Абхазского обкома КП Грузии, республиканской комиссии по обеспечению безопасности дорожного движения при Совете Министров Абхазской АССР.

Отдел ГАИ МВД Абхазии принимает необходимые меры для укрепления организованности и дисциплины, профилактики дорожно-транспортных происшествий, усиления борьбы с нарушителями социалистической законности.

Неплохих результатов в борьбе с дорожно-транспортными происшествиями, соблюдении правил дорожного движения на трассах добились подразделения ГАИ Очамчирского и Гудаутского РОВД.

В целом же, несмотря на сокращение количества дорожно-транспортных происшествий, уровень аварийности на дорогах все еще остается высоким.

Не удовлетворяет нас организация профилактики дорожно-транспортных происшествий по вине пешеходов. Особую озабоченность вызывает положение дел в подразделениях ГАИ Сухумского и Гагрского ГОВД, на что их руководству необходимо обратить самое серьезное внимание.

Плохо организована работа с индивидуальными владельцами автомототранспортных средств, не используются большие возможности подразделений республиканского совета добровольного общества автомотолюбителей. Эти упреки можно отнести и к аппаратам ГАИ городских и районных органов внутренних дел.

Хочется обратить внимание на состояние технического осмотра автотранспорта. Пока что не используются предоставленные законом полномочия о запрещении его эксплуатации в случае отсутствия противоугонных средств, маркировки стекол, осветительных приборов, повышенного загрязнения воздуха отработанными газами, изношенности протекторов шин, из-за неисправных и неопломбированных спидометров и т. д.

Эти нарушения и упущения как бы «не замечаются» при проведении государственного технического осмотра подразделениями ГАИ Сухумского ГОВД. Следовательно, технический осмотр автомототранспортных средств государственного сектора проводится некачественно. ГАИ Сухумского и Гагрского ГОВД и Гудаутского РОВД затягивают отчет об осмотре транспорта индивидуальных владельцев.

При проведении технического осмотра было выявлено множество фактов грубейших нарушений отдельными организациями и предприятиями требований постановления ЦК КПСС и Совета Министров СССР «О повышении эффективности использования автотранспортных средств в народном хозяйстве, усилении борьбы с приписками при перевозках грузов автомобильным транспортом и обеспечении сохранности горюче-смазочных материалов».

Только в Сухуми выявлены 1.206 автомобилей с техническими неисправностями.

Грубые нарушения норм выдачи и списания горюче-смазочных материалов были зарегистрированы на Ткварчельском грузовом АТП, АЗС № 4 Сухумской нефтебазы и АЗС Гагрской нефтебазы.

Нередки и случаи хранения автотранспортных средств вне гаража, на дому у водителей. Подобные нарушения особенно распространены в сельской местности.

Пора навести должный порядок в этом важном деле, что, в свою очередь, положительно скажется на борьбе с дорожно-транспортными происшествиями.

Важное условие безопасности дорожного движения — оборудование и содержание дорог. К сожалению, они еще не отвечают предъявляемым требованиям.

Часто нам задают вопрос: почему на дорогах республики происходит так много аварий и нарушений правил дорожного движения? Ведь в борьбе с ними участвуют Госавтоинспекции, службы безопасности и другие. Все это верно. Но еще необходимо, чтобы в нее активно включилась вся общественность, и, в первую очередь, сами водители. Вот тогда и будет установлен порядок.

В обеспечении безопасности дорожного движения большая роль принадлежит профилактике средствами агитации и пропаганды. Отдел ГАИ МВД Абхазской АССР ведет в этом направлении определенную работу.

Хочется обратить особое внимание на то, что больше всего тревожит и что является главной причиной дорожно-транспортных происшествий — на умышленное пренебрежение ПДД. Каждый водитель знает, что при желтом сигнале светофора надо остановиться перед перекрестком, а сколько автомашин выезжает на перекресток даже при красном сигнале, сколько других нарушений допускается вполне осознанно!

Очень опасной причиной ДТП является пьянство. Только в минувшем году подразделениями ГАИ было лишено водительских прав на разные сроки 2.540 человек, управляющих транспортом в нетрезвом состоянии. Мы будем и впредь строго наказывать водителей, допускающих подобное злостное нарушение.

Ответственные задачи, поставленные перед нами в обеспечении безопасности дорожного движения, прежде всего должны решать работники ГАИ. Немало делается в последнее время для повышения их профессионального и политического уровня. Министерство внутренних дел Абхазской АССР осуществило ряд мероприятий по усилению контроля за работой Госавтоинспекции, укреплению исполнительской дисциплины и социалистической законности. Каждый случай нарушения служебной дисциплины и недобросовестного выполнения служебного долга рассматривается на оперативных совещаниях и не остается без соответствующего реагирования. Так, за плохие показатели в работе и недисциплинированность ряд сотрудников было отстранено от службы в ГАИ, а 33 получили разные дисциплинарные взыскания. В то же время принимаются должные меры по стимулированию и поощрению образцового несения службы. Мы будем настойчиво добиваться того, чтобы у каждого нашего сотрудника профессиональная компетентность и гражданский долг сочетались с неподкупностью и справедливостью, чтобы все его действия были законны и понятны гражданам.

ГАИ МВД автономной республики разработало план дополнительных мероприятий по устранению имеющихся в работе недостатков. Курс взят на то, чтобы совместными усилиями всех заинтересованных министерств, ведомств, учреждений и общественных организаций добиться значительных успехов в обеспечении безопасности движения на дорогах республики.

**А. АНТЕЛАВА,**
**заместитель министра внутренних дел Абхазской АССР, полковник милиции.**

## უკომპრომისო ბრძოლა

# ლოთობას

**სამწუხაროდ,** ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში საკმაო რაოდენობით არიან მოქალაქეები, რომლებიც ბოროტად იყენებენ ალკოჰოლურ სასმელებს, რის გამოც მათი მხრიდან ძალზე ხშირია სხვადასხვა სახის სამართალდარღვევები, ოჯახური კონფლიქტები მეზობლური დავები, სამუშაოს გაცდენები და სისხლის სამართლის დანაშაულებათა ჩადენის ფაქტებიც კი.

ტყიბულის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების მიერ ზონის ტერიტორიაზე გაწეულია მთელი რიგი სამუშაოები ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ხაზით. გამოვლენილია და აღრიცხვაზეა აყვანილი ლოთობის მიდრეკილების მქონე თითქმის ყველა პიროვნება, რომელთა მიმართ გატარებული იქნა პროფილაქტიკურ-ადმინისტრაციული ზომები. 1985 წლის განვლილ პერიოდში ფსიქონევროლოგიურ დისპანსერში განსაკურნავად გადაყვანილი იქნა რამდენიმე მოქალაქე, ხოლო საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგარეჯოს შრომით-სამკურნალო პროფილაქტორიუმში გაგზავნილი არიან ქრონიკული ალკოჰოლისტები.

ქუჩებში და საზოგადოების თავშეყრის ადგილებში ჰრაფხიზელ მდგომარეობაში ყოფნისათვის შინაგან საქმეთა განყოფილების სამორიგეო ნაწილში წარმოდგენილია არაერთი მოქალაქე, რომლებიც არ იცავდნენ ქცევის ელემენტარულ ნორმებს...

მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში გამოვლინდა შინნახადი არყით სპეკულაციისა და გასაღების მიზნით არყის გამოხდის რამდენიმე ფაქტი.

1985 წლის 1 ივნისიდან ძალაში შევიდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ახალი ბრძანებულება „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და არყის შინ გამოხდის აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ", რითაც კიდევ უფრო გამკაცრდა კანონმდებლობა ლოთობის წინააღმდეგ საბრძოლველად. უფრო მეტი პასუხისმგებლობა დაეკისრა შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლებს, განსაკუთრებით უბნის ინსპექტორებს, რომელთა უპირველესი მოვალეობაა სააგიტაციო-პროფილაქტიკური მუშაობის სრულყოფით წესრიგი დაამყარონ თავის სამოქმედო უბანში.

**ხ. ციცქარიშვილი,**
**ტყიბულის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების უფროსი უბნის ინსპექტორი, მილიციის მაიორი.**

# ДЕЛЮСЬ ОПЫТОМ

Главной задачей участкового инспектора является предупреждение, пресечение, раскрытие преступлений и обеспечение образцового общественного порядка на обслуживаемом участке.

От того, насколько участковый инспектор умело и правильно организует свою работу, обеспечивает взаимоотношения с другими работниками милиции, силами общественности, устанавливает правильное взаимоотношение с жителями своего участка, во многом зависит успех всей деятельности милиции.

Решающим условием, обеспечивающим высокие результаты в борьбе с преступностью и правонарушениями на участке, является высокая оперативная осведомленность участкового инспектора.

Без глубокого и детального знания обстановки немыслима успешная борьба с правонарушениями. Зная это, я выработал свою систему.

Я обслуживаю населенные пункты Кесалинского, Ново-Ульяновского сельских советов, население которых составляет более 12 тыс. человек. Рунсболойский овощемолочный совхоз, Назарлойский и Ульяновский семеноводческие совхозы.

Оперативная обстановка на участке была сложной, здесь ранее совершалось большое количество преступлений. На территории участка проживают граждане разных национальностей и обычаев. Он граничит с Казахским районом Азербайджанской ССР. По нему проходит дорога Тбилиси-Акстафа. Это тоже усложняет оперативную обстановку. Приняв в свои «владения» участок, детально ознакомился с территорией, оперативной обстановкой. В первую очередь, выработал для себя строгий режим рабочего дня, установил связь с партийными организациями, исполкомами местных советов, товарищескими судами, штабом ДНД, депутатами местных советов и активистами сел.

С лицами, взятыми на профилактический учет, периодически провожу индивидуальные беседы воспитательного, профилактического характера. По надобности, такие беседы проводятся в трудовом коллективе в присутствии членов семей. Посещая их на дому и на работе, интересуюсь поведением в быту, отношением к труду. Оказываю помощь неработающим в трудоустройстве. Каждый проступок становится предметом обсуждения общественности.

Несколько слов хочу сказать о работе добровольной народной дружины. ДНД Ново-Ульяновского сельского совета работает хорошо, имеет свой штаб, регулярно ведется дежурство. Дирекцией Ульяновского семеноводческого совхоза выделяется дежурная автомашина. В Кесалинском сельском совете организована ДНД, но она бездействует.

ДНД совхозов ведут борьбу с мелкими хищениями во время уборки сельхозурожая.

Необходимо усилить работу ДНД, создать опорные пункты охраны порядка в сельских советах, в каждом совете иметь дружины по борьбе с мелкими хищениями сельхозпродуктов и другие.

**П. БИННАТОВ,**
**участковый инспектор Гардабанского РОВД, старший лейтенант милиции.**

## სახალხო რაზმების

# რესპუბლიკური შტაბის სხდომა

**ახლახან** გაიმართა ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების რესპუბლიკური შტაბის მორიგი სხდომა, რომელმაც განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მართლწესრიგისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის სახალხო რაზმელთა მუშაობის ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების საკითხები.

ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების რესპუბლიკური შტაბის მუშაობის შედეგები მოახსენა სხდომის მონაწილეებს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ, შ/ს გენერალ-მაიორმა ვ. შადურმა.

მოისმინეს ქ. თბილისის კალინინის რაიონის, ბორჯომისა და სიღნაღის რაიონების ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების შტაბების ხელმძღვანელთა ანგარიშები, დაამტკიცეს რეკომენდაციები სოციალისტური საკუთრების დატაცების წინააღმდეგ ბრძოლისა და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების დარგში სპეციალიზებული სახალხო რაზმების ჩამოყალიბების შესახებ, განიხილეს სხვა საკითხები. სხდომის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ [illegible] ხელშეწყობა ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების საქმიანობა სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმების დასაცავად, განაცხადეს, რომ უნდა გაძლიერდეს რაზმელთა როლი ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომ გამკაცრებაში, დასახეს ამ სოციალური ბოროტების აღმოფხვრის კონკრეტული ღონისძიებანი.

რესპუბლიკური შტაბის სხდომის შედეგები შეაჯამა მისმა ხელმძღვანელმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ჩერქეზიამ.

# ЛИЦО «СВОБОДНОГО МИРА»





Террор, развязанный марионеточным режимом Дуарте против собственного народа, обрекает на страдания тысячи сальвадорцев. Эта семья (на снимке) вынуждена была покинуть свое жилище в окрестности вулкана Гусапо и бежать от усилившихся репрессий режима. В последнее время сальвадорская армия активизировала операции по насильственному переселению жителей этого района в другие департаменты страны. В операциях принимают участие более тысячи солдат и офицеров. Эту акцию режим осуществляет с целью изоляции партизан, лишения их поддержки со стороны гражданского населения.

Авиация режима проводит жестокие бомбардировки мирных селений. Против стариков, женщин и детей используется варварское оружие — напалм и белый фосфор. Кроме того, есть свидетельства применения военщиной химического оружия. Режим использует тактику «выжженной земли», заимствованную из грязного опыта преступной войны, которую вел американский империализм во Вьетнаме. И это заимствование не удивительно. Ведь многие сальвадорские вояки обучаются на базах США как, например, солдаты батальона «Р[illegible]мон Беллозо» (на снимке), прошедшие подготовку в Северной Каролине. Кроме того, американские военные советники, которых в стране насчитывается более двухсот, фактически руководят сальвадорской армией в ее карательных операциях, все семь американских полковников дают «советы» Генеральному штабу войск режима.

**Фотохроника ТАСС.**

**ლენინს** სურდა, რომ პარტიისა და სახელმწიფოს მოღვაწეები გამოსულიყვნენ ხმის ჩამწერი აპარატის წინ. მან სთხოვა მ. ი. კალინინს მოემზადებინა ხმის ჩასაწერად რამდენიმე სიტყვა გლეხებისათვის. სთხოვეს ჩაწერა ფ. ე. ძერჟინსკისაც.

ფელიქს ედმუნდის ძე ჯიუტად არიდებდა თავს „ცენტროპეჩატის" თანამშრომლებს, რომლებსაც უნდა ჩაეწერათ მისი ხმა. ეს აცნობეს ვ. ი. ლენინს.

— თქვენ ახლავე გამოიძახეთ ის ტელეფონთან და უთხარით, რომ მე მას დავაპატიმრებ, თუ ხმა არ ჩაიწერა, — ნახევრადხუმრობით შენიშნა ვლადიმერ ილიჩმა.

როდესაც ძერჟინსკის გადასცეს ლენინის სიტყვები, მან უპასუხა „ცენტროპეჩატის" მუშაკს:

— მე ამხანაგებო, ორატორი არა ვარ, მაგრამ თუ პატიმრობა მემუქრება, მაშინ აუცილებლად გამოვალ თქვენთან... გთხოვთ ამაში დაარწმუნოთ ვლადიმერ ილიჩი.

---

დასახრული. დასაწყისი იხ. „მებრძოლი გუშაგი" № 25.

# ჩვენი ეპოქის სინდისი

ჩამწერი ტექნიკა 20-იან წლებში სრულყოფილი არ იყო. ლენინს უხდებოდა ახლო დამდგარიყო ხმის ჩამწერ აპარატურასთან, დაეძაბა ხმა, ელაპარაკა პირდაპირ რუპორში.

ლენინის სიტყვებს აკუსტიკური წესით იწერდნენ, რომლის დროსაც მახინჯდებოდა ხმის ტემბრი. რესტავრაციის პირველი ცდა განხორციელდა 1936 წელს, მაგრამ მას დიდი წარმატება არა ჰქონდა. მაშინ მოხერხდა მხოლოდ ორი ფირფიტის გამოშვება ლენინის სამი გამოსვლით. 1947 წელს სარესტავრაციო სამუშაოები დაევალა საკავშირო ხმისჩამწერ სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტს. ამოცანა ასეთი იყო: გაეუმჯობესებინათ ვ. ი. ლენინის ხმის ჟღერადობა, მაქსიმალურად გაეწმინდათ ჩანაწერი უცხო ხმებისაგან, დაემზადებინათ ახალი მატრიცები გრამფირფიტების მასობრივი გამოშვებისათვის. ინსტიტუტს სარესტავრაციოდ გადაეცა ორიგინალები — სპილენძის მატრიცები. მათგან 1920 წელს ბევრი ფირფიტა გადაიბეჭდა, ამის შედეგად მატრიცები გაცვდა, გაჩნდა ბზარები, ეს კი გამორიცხავდა ფირფიტების შემდეგი ტირაჟირების საშუალებას.

ახალი ტექნიკის შემწეობით მეცნიერებმა შექმნეს სრულიად ახალი მატრიცები. გამოიყენეს ხმის წინასწარ გადაწერის მეთოდი სპეციალურად დამზადებული ხელსაწყოების საშუალებით. ყოველ საცდელ ფირფიტას, მათი ვარიანტების რიცხვი კი 140-ზე მეტს აღწევდა, უსმენდა ავტორიტეტული კომისია. მასში შედიოდნენ ვლადიმერ ილიჩის პირადი მდივანი ლ. ა. ფოტიევა, ძ. ე. ვოროშილოვი, ძველი ბოლშევიკი ა. მ. სტოპანი. ამის შედეგად მიიღეს ჩანაწერი, რომელზეც ხმის ტემბრის შეფერილობა ყველაზე მეტად შეესაბამებოდა ლენინისას. სწორედ ეს ჩანაწერები შეიტანა სახელგანთქმულმა კინორეჟისორმა მიხეილ რომმა დოკუმენტურ ფილმებში „ვლადიმერ ილიას ძე ლენინი" და „ვ. ი. ლენინი სიცოცხლეში".

სულ პირველი გრამჩანაწერები რესტავრაციის შემდეგ სათუთად შეინახეს. ისინი ინახება სპეციალურ სეიფში, სადაც დაცულია გარკვეული ტემპერატურა და ჰაერის ტენიანობა.

მრავალი წლის დაძაბული შრომის შედეგად ხმისჩამწერი საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებმა 1955 წელს დაამზადეს პირველი ხანგრძლივი საკრავი ფირფიტა, რომელზეც ვ. ი. ლენინის შვიდი სიტყვა იყო ჩაწერილი. 1966 წელს გამოვიდა გრამფირფიტა, რომელიც ბელადის რვა გამოსვლას შეიცავდა.

საბჭოთა სპეციალისტები განაგრძობენ მუშაობას ლენინური სიტყვების ჩანაწერების უკეთესი ჟღერადობისათვის და ჩვენ მადლიერნი ვართ ადამიანებისა, რომლებმაც საუკუნეებს შეუნახეს ლენინის ცოცხალი ხმა.

რესტავრაციის ყოველი ეტაპის შემდეგ სულ უფრო მცირდება ფირის დაზიანებები, უფრო ბუნებრივად ჟღერს ლენინის ხმა, მკაფიო და გამოკვეთილი ხდება ლენინისეული სიტყვის წარმოთქმის თავისებურებანი, რასაც აღნიშნავენ ხოლმე ილიჩის თანამედროვენი, რომელთაც მოუსმენიათ მისთვის.

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალში მომსვლელები ყოველთვის დიდი ინტერესით ისმენენ ამ ისტორიულ ფირფიტებს, მათ წინაშე მგზნებარე მოგონებით გამოდის ძველი ბოლშევიკი, რომელსაც უნახავს და მოუსმენია დიდი ბელადისათვის.

ლენინის ცოცხალი სიტყვა მთელი მსოფლიოს მილიონობით ადამიანის კუთვნილება გახდა.

**ფილიპე მახარაძე,**
**ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორი.**

# მუქთახორა პოტენციური დამნაშავეა

ადმინისტრაციული ორგანოები სისტემატიურად ატარებენ ღონისძიებებს იმ პირთა გამოსავლენად, რომლებიც ეწევიან პარაზიტულ ცხოვრებას, თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას. ამ საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება უბნის ინსპექტორების პროფესიულ მომზადებას, პასუხისმგებლობის გრძნობას. მაგრამ არაერთხელ გავმხდარვართ იმის მოწმე თუ როგორ რჩებიან ზოგიერთი ინსპექტორის ყურადღების მიღმა საპასპორტო წესების დამრღვევები და მუქთახორები. პარაზიტული ცხოვრების მოტრფიალენი კი მატერიალურ მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად ბოლოს და ბოლოს სისხლის სამართლის დანაშაულს სჩადიან. ასე მოიქცა უსაქმური ნ. აბესაძე, რომელიც დროებით საცხოვრებლად გადავიდა ბებიასთან საგარეჯოს რაიონის სოფ. თოხლიაურში, სადაც მასავით მუქთახორა ს. გურაშვილთან ერთად იმ დასკვნამდე მივიდა რომ უკვე დრო იყო „სამუშაოზე" ეფიქრათ, რაც იმაში გამოიხატა, რომ დღისით — მზისით მათ მეზობლად მცხოვრები ზ. მჭედლოვის ბინა გაქურდეს. ბოროტმოქმედებმა ბინიდან გაიტაცეს ქალის ლაბადა (ღირებული — 800 მან.), ათი ცალი ვერცხლის კოვზი (400 მან.), სანადირო თოფი (280 მან.), ობლიგაციები, ერთი ცალი ოქროს კბილი (100 მან.), ვერცხლის ბეჭედი (70 მან.), ოქროს ჯვრის ნატეხები (50 მან.), ერთი ჩანთა (3 მან.) და 200 მან. ფული; სულ 2488 მანეთის ღირებულების პირადი ქონება.

„მადა ჭამაში მოდისო..." და ერთი დღის შემდეგ, ამჯერად ღამით ნ. აბესაძე თოხლიაურელ ნ. ქადაგიშვილის ბინას ესტუმრა, გაიტაცა იქიდან 285 მანეთის ღირებულების ნივთები და გადამალა სოფლის სასაფლაოზე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ნ. აბესაძემ დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაება არასრულწლოვანი გ. ოდიშვილი, რომელსაც შესანახად, შემდეგ კი გასაყიდად გადასცა ნაქურდალი ნივთები.

აღნიშნული დანაშაულის გახსნაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს საგარეჯოს შს რაიგანყოფილების სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსმა, მილიციის კაპიტანმა შ. აბრამიშვილმა, ოპერრწმუნებულმა, მილიციის მაიორმა გ. გზირიშვილმა და უბნის ინსპექტორმა, მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა მ. ბუხუკურმა, რომლებმაც „ცხელ კვალზე" დააკავეს ბოროტმოქმედები, მაგრამ აქვე, კიდევ ერთხელ უნდა გავიმეოროთ უკვე სამწუხარო ტრადიციად ქცეული ფრაზა: დანაშაული არ მოხდებოდა, რომ... მათი ოჯახის წევრებს, მეზობლებს, სასოფლო საბჭოს ხელმძღვანელებს, პირველ რიგში კი უბნის ინსპექტორს მეტი ყურადღება გამოეჩინათ უსაქმოდ მოხეტიალე ახალგაზრდებისათვის, შეექმნათ მათთვის მუშაობისა და დასვენების პირობები.

დამნაშავეები საკადრისად დაისაჯნენ. სასამართლომ მათ 6 წლით თავისუფლებას აღკვეთა მიუსაჯა.

ზ. თათეიშვილი.

## სასწავლო ექსკურსიაზე

ჭიათურის პიონერთა სასახლის ნორჩი ავტოინსპექტორები გაემგზავრნენ სასწავლო ექსკურსიაზე, რომელსაც შს საქალაქო განყოფილების საგზაო-საპატრულო სამსახურის ინსპექტორი ო. გველესიანი და პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დირექტორი მ. ჩახუნაშვილი ხელმძღვანელობდა. ნორჩი ავტოინსპექტორები ეწვივნენ ნავენახევის მღვიმეს, შემდეგ ესტუმრნენ ქ. ქუთაისს, სადაც დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნაობანი. ეს ექსკურსია წმინდა პრაქტიკულ მეცადინეობასაც ითვალისწინებდა. ო. გველესიანი ნორჩ ავტოინსპექტორებს გზადაგზა უხსნიდა ტრასაზე დადგმულ მოძრაობის ნიშნებს, პრაქტიკულად ამოწმებდა მათ თეორიულ ცოდნას.

სასწავლო ექსკურსიამ კიდევ უფრო გაუღრმავა ნორჩ ავტოინსპექტორებს მოძრაობის წესების ცოდნა.

## НАШИ КОРРЕСПОНДЕНТЫ СООБЩАЮТ

### СИГНАХИ

В Сигнахский РОВД поступил тревожный сигнал. Первого мая на Гомборском перевале тремя вооруженными лицами был совершен угон автомашины «ВАЗ 2106», госномер Ц 7006 ГА.

Указанную машину сотрудники милиции обнаружили в селе Сакобо Сигнахского района. Благодаря проведенным розыскным мероприятиям преступление было раскрыто по «горячим следам». Преступники задержаны. Ими оказались жители села Цнори Д. Багадишвили и З. Бегиашвили, а также тбилисец В. Лакоев.

Во время угона преступная тройка вела себя довольно лихо. Бандиты трижды выстрелили в воздух и дважды в автомашину. В результате водитель А. был ранен. Однако вид раненного человека не разжалобил «джентльменов удачи». Они вытащили пострадавшего из машины и бросили на произвол судьбы.

Опергруппе в составе старших оперуполномоченных ОУР А. Г. Надикашвили, А. Г. Мчедлишвили и оперуполномоченного Б. Г. Бегиашвили удалось схватить и обезоружить преступников и изъять огнестрельное оружие.

В. КАТАМАДЗЕ,
старший лейтенант милиции, заместитель начальника Сигнахского РОВД по политической части.

## კორესპონდენტებიდან

## გვატყობინებენ

...ბოროტმოქმედმა ქვით ჩაამსხვრია ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის მუშათა მომარაგების განყოფილების სოფელ ორპირის მაღაზიის ვიტრინა, გაიტაცა 228 მანეთისა და 32 კაპიკის ღირებულების სხვადასხვა საქონელი და ფული, რის შემდეგაც მიიმალა.

შემთხვევის ადგილზე დამნაშავის მიერ დატოვებული კვალი ნათლად მეტყველებდა, რომ განსაკუთრებული თავხედობით დანაშაული ჩაიდინა ალკოჰოლის ზეგავლენის ქვეშ მყოფმა პირმა.

დანაშაულის გასახსნელად კარგად იმუშავეს უბნის ინსპექტორებმა კ. შარვაძემ და ს. ხუჯაძემ, „ცხელ კვალზე" მათ დამნაშავე დაადგინეს და დააკავეს კიდეც. ამოღებული იქნა ნაქურდალი ნივთების სახით. აღნიშნული ქურდობა ჩაიდინა 19 წლის ლ. დარსაძემ. მის საქმეს მალე განიხილავს ტყიბულის სახალხო სასამართლო.

ზ. ზვიადაძე,
მილიციის მაიორი

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგია, პოლიტიკური განყოფილება და პარტიული კომიტეტი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ჩეკისტი, მილიციის გადამდგარი პოლკოვნიკი

**კონსტანტინე (ხუტა) აქვსენტის ძე ბაგუა**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

# Бомба замедленного действия

Хотя тот давний случай, который сегодня оживленно цитируют многие зарубежные газеты, представляет собой не больше, чем банальное ограбление банка, иные относят его к самым необычным и самым страшным в истории японской криминалистики. Тогда, 23 января 1984 года в отделение банка одного из западных районов Токио вошел человек, отрекомендовавшийся сотрудником городского управления здравоохранения. Он деловито раздал служащим отделения «таблетки от поноса» (в то время это заболевание носило характер эпидемии) и порекомендовал тут же принять их внутрь. В результате 12 человек умерли, а четырех отравленных, как оказалось, цианистым соединением, врачи с трудом сумели спасти.

Заурядное событие из уголовной хроники большого города имело столь же заурядное на первых порах продолжение: в качестве главного обвиняемого был привлечен некто Садамичи Хирасава, художник-график по профессии. Суд длился целых семь лет. Наконец был вынесен окончательный приговор, утвержденный верховным судом Японии: смертная казнь.

Садамичи Хирасава сейчас 93 года. 30 из них он провел в камере смертников. Не зная за собой никакой вины, Хирасава через своего адвоката упорно добивался пересмотра этого дела. В общей сложности 16 кассационных жалоб подал адвокат за эти годы — согласитесь, такое бывает не столь уж часто. И все же не это дало основание газетчикам назвать дело Хирасавы небывалой сенсацией.

Шло время. И вот как раз к моменту, когда рассматривалась очередная, 17-я по счету кассация, адвокат Макото Эндо раскопал-таки убедительные доказательства того, что его подзащитный безвинно томился 30 лет за решеткой в ожидании своей участи. Адвокату пришлось провести глубокие «раскопки», прежде чем он наткнулся на «бомбу» в виде кипы документов бывшей штаб-квартиры американских оккупационных войск в Японии.

Найдя сей дремавший до времени фугас, адвокат не замедлил его взорвать. Из обнародованных материалов явствует следующее: вскоре после окончания войны американцы с ведома японских органов юстиции завели темные, а лучше сказать грязные дела с бывшими японскими военнослужащими, которых по всем статьям следовало бы отнести к категории военных преступников. Речь идет о членах уже известной советским читателям «команды 731», чьей задачей была разработка химического и бактериологического оружия. Свое оружие эта «команда» испытывала на людях, причем, как стало известно из найденных документов, жертвами ее изуверских испытаний стали по меньшей мере две тысячи человек, в основном китайских военнопленных, находившихся на территории оккупированной в те годы японцами Маньчжурии.

Грязные делишки окончились грязным сговором: «команда 731» передала американцам документацию о технологии производства разработанного ею оружия и результаты проведенных испытаний, а те в свою очередь отпустили с миром всю «команду» во главе с ее шефом генералом Сиро Исии. Среди «помилованных» — в этом и состоит главная пикантность сделанных разоблачений — находится один полковник, который и был действительным грабителем банка, использовавшим трюк с ядовитыми таблетками.

Со времени описываемых событий много воды утекло. Но если взглянуть на них с нынешних высот и под углом зрения столь шумно ведущейся в США и других западных странах кампании в защиту прав человека, то тут есть над чем поразмыслить. Особенно, если учесть, что все живущие ныне члены бывшей «команды 731» благоденствуют и даже разбогатели.

А упомянутый генерал Исии, пока художник Садамичи Хирасава без какой бы то ни было вины в камере смертников, сумел сколотить весьма солидное состояние. Причем именно в фармацевтическом бизнесе!

В. БОЕВ.

ПРЕДСТАВЛЯЕМ ВИД

# ПОДГОТОВКА НАЧАЛАСЬ

**В октябре 1985 г. в г. Баку состоится чемпионат МВД СССР по автомобильному многоборью, в котором примет участие и команда МВД Грузинской ССР.**

Учитывая опыт неудачных выступлений прошлых лет, в нынешнем году решено начать подготовку к всесоюзным соревнованиям заблаговременно. Недавно создана спортивная секция, ей выделены два автомобиля — «УАЗ-469 АП» и «ВАЗ-2101». Спортсмены получили возможность регулярно тренироваться.

Несколько дней тому назад мы побывали в окрестностях г. Мцхета, где автомногоборцы облюбовали себе площадку. Тренировка была в разгаре. Желто-синий «уазик» в уверенных руках спортсменов выделывал самые замысловатые фигуры, двигаясь то передним, то задним ходом. Вперед, назад, вперед, назад... и так много раз. Лишь таким образом имеющиеся навыки можно довести до автоматизма.

Наступает черед «Жигулей» — автомобильный слалом. Динамичная и быстрая, машина последовательно преодолевает двадцать «ворот». Отменная реакция, сообразительность, великолепное чувство автомобиля — вот качества, необходимые для успешного преодоления трассы слалома.

Тренировка перемещается в горы. Кросс на дистанцию полтора километра, через каждые пятьсот метров — стрельба из пистолета «Макарова». Это — новый интересный вид многоборья — служебный биатлон.



Не все еще получается у спортсменов, многое надо познать. Но есть огромное желание трудиться, побеждать.

С. ГАЛСТЯН,
старший лейтенант милиции.

НА СНИМКЕ: момент тренировки.

Фото автора.

# მოზაიკა

ამერიკის შეერთებული შტატების პატარა ქალაქ ოკ-კრიკში (კოლორადოს შტატი) სამი თვე ციხე და 300 დოლარი ჯარიმა ემუქრება ყველა მცხოვრებს, ვისაც შინ არ ექნება... თოფი და ტყვიები.

ახეთი კანონი ქალაქის ხელისუფლებმა იმიტომ მიიღეს, რომ ოკ-კრიკში მხოლოდ ოთხი პოლიციელია და მოქალაქეებმა ყოველგვარი საფრთხისაგან თვითონვე უნდა დაიცვან თავი.

ახალი კანონი არ ეხება ოდესმე მსჯავრდადებულ მოქალაქეებს, ხეიბრებსა და ღარიბებს, რომელთაც საშუალება არა აქვთ იარაღი შეიძინონ.

* * *

ოთხი წლის მანძილზე ბელგიაში მოქმედებდა ყალბი ფულის მომჭრელთა ბანდა, რომლის უვნებელყოფა ვერასგზით ვერ მოახერხა პოლიციამ. როგორც გაზეთი „პრესსე" იუწყება დახმარება მოულოდნელად მოვიდა... ციდან. თურმე დამნაშავეები ყალბ ფულს საფოსტო მტრედებით უგზავნიდნენ თანამზრახველებს. ერთ-ერთი ფრთიან კურიერს გზა აერია და პოლიციის ხელში მოხვდა.

* * *

დასავლეთ ბერლინის პოლიციამ 43 წლის ოფიციანტის ბინაში აღმოაჩინა 3,3 მილიონი ყალბი ამერიკული დოლარი. მოხერხებული ოფიციანტი ამ ფულს სარდაფში ამზადებდა და ყიდდა. ბოლო გარიგება — 750 ათასი დოლარი 225 ათას მარკად არ შედგა, რადგან მყიდველი აღმოჩნდა პოლიციის აგენტი.

* * *

პორტუგალიის ქალაქ პორტიმაუში გაიმართა მწერლების პირველი საერთაშორისო შეხვედრა, რომლებიც დეტექტივის ჟანრში მუშაობენ. მონაწილეობა მიიღეს 28 მწერალმა გდრ-იდან, ბელგიიდან, ვენესუელადან, ეგვიპტიდან და სხვ.

* * *

ახლახან, ამსტერდამის აეროპორტში 6 წლის პატიოსანი მუშაობის შემდეგ ჯანმრთელობის გაუარესების გამო „დამსახურებულ პენსიაზე" გავიდა ჰოლანდიაში სახელგანთქმული „მებაჟე" — ძაღლი ლეო. მისი დახმარებით დააკავეს სამასზე მეტი კონტრაბანდისტი, რომლებსაც 5 ტონამდე ნარკოტიკები ჩამოართვეს.

სარედაქციო კოლეგია
РЕДКОЛЛЕГИЯ

ჩვენი მისამართი: თბილისი 380025, გოგოლის ქ. № 23. ტელ. 95-66-72, 99-1-41-24. Наш адрес: 380025. ул. Гоголя, 23 тел. 95-66-72, 99-1-41-24
საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი — 96. ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29. უე 06 225